ძ ი რ ს

(სიმღერა)

ძირს, მთავრობავ, უსამართო!
ველარ ვიტანთ გასაჭირსო, -
ყოველი მხრივ გეძახიან:
ნძირს, მთავრობავ! აწ კი ძირსო!ნ

კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო!
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,
გავიღვიძეთ და აწ დ ნძირსო!ნ

ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო, -
დღეს ეს აღარ მოხერხდება,
გეუბნებით მიტომ: ნძირსო!ნ

ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!
ძველი წესი-წყობილებაც
ბნელს გაჰყვება და შენ დ ნძირსო!ნ

შენგან, ძალაუნებურად,
არ მოველით დანაპირსო.
ჩვენ მოვუვლით ისევ ჩვენს თავს,
არ გვინდებხარ, - ნძირსა და ძირსო!ნ

ძალას ჰკარგავ, ის გაწუხებს,
აღარ გხსნის დანა პირსო,
მაგრამ რა ვქნათ? ქვეყნის ტანჯვას
სჯობს იტანჯო ერთმა დ ნძირსო!ნ

ხალხი იბრძვის! ხალხი ჰღელავს!
ველარ ასდებ აწ აღვირსო!
ყოველის მხრივ შეგძახიან:
ნძირს, მთავრობავ, ძირსა და ძირსო!ნ

1905 წ.